შპს მრავალპროფილიანი
საზოგადოებრივი კოლეჯი
იმედი

პროგრამების კატალოგი-2026

შექმენი შენი წარმატებული მომავალი დღეს!

მიმართვა აპლიკანტებს

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი 2003 წელს დაფუძნდა და დღეს წარმოადგენს სტაბილურ, ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს თანამედროვე პროფესიულ პროგრამებს და გასცემს სახელმწიფო დიპლომს.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი საქმიანობის ხარისხსა და ინსტიტუციურ მდგრადობას.

წლიდან წლამდე კოლეჯი ვითარდება, აფართოებს პროგრამულ მიმართულებებს და აძლიერებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლების მოდელს. ჩვენი საგანმანათლებლო პროცესი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, პროფესიული უნარების განვითარებაზე და თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენაზე.

ჩვენ ვქმნით უსაფრთხო, კომფორტულ და სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც სწავლება ეფუძნება პრაქტიკას, თანამშრომლობას და რეალურ პროფესიულ გამოცდილებას.

წლების განმავლობაში კოლეჯმა ათასზე მეტი კურსდამთავრებული მოამზადა, რომელთაგან ბევრი წარმატებით არის დასაქმებული საკუთარ სფეროში და აგრძელებს პროფესიულ ზრდას.
 გვჯერა, რომ ჩვენთან გატარებული წლები არის არა მხოლოდ განათლების მიღების ეტაპი, არამედ პროფესიული იდენტობის ჩამოყალიბების, განვითარების და წარმატების დასაწყისი.

მისია

კოლეჯი იმედი არის მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა; პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომლებზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება; შეთავაზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია.

ხედვა

კოლეჯსა და ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური პარტნიორობით იყოს 2026-2027 წლისთვის ერთ-ერთი წამყვანი მრავალპროფილიანი კოლეჯი. უზრუნველყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების განვითარება, სწავლის პერიოდშივე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რეალურ სამუშაო პროცესებში ჩართვა, ინოვაციების, გამოცდილებისა და რესურსების ურთიერთგაზიარება.

ღირებულებები

კოლეჯის საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომელზე ორინეტირებული საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს არსებობას, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების, თვითგამოხატვის თავისუფლება.

აღმზრდელი

ფარმაცია
(სააფთიაქო)

საექთნო საქმე

საფინანსო
სერვისები

ინფორმაციის
ტექნოლოგია

ჩვენი პარტნიორები

ნიუ ჰოსპიტალს

პინეო
საბავშვო ბინა ეკონომეტრა

ლიბერთი

ავერსი
AVERSI

Neverland
kindergarten

AMERICAN HOSPITAL TBILISI
Accredited by JCI

საქართველოს კარიტასი
CARITAS GEORGIA

თიბისი ბანკი
TBC BANK

GEPHA

BG
USINESS
EORGIA

OPEN HEART
ღია გული

კონსილიუმ მედულა

HSE GEORGIA
Health & Safety Environment

IMPEX

ბაბა-ბალი
№45

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის მიზანია უზრუნველყოსკვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიცშეიმუშავებს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმს, შექმნის პირობებს ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი; სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 20 სასწავლო თვე.

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის მოცულობა: 150 კრედიტი

სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 25 სასწავლო თვე

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / HIGHER VOCATIONAL QUALIFICATION IN OCCUPATIONAL SAFETY AND ENVIRONMENTAL TECHNOLOGY

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა
2. შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები
3. შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი
4. შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები
5. დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთოების წესები
6. განახორციელოს ევაკუაციის პროცესები
7. გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება
8. გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები
9. აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება
10. შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა
11. განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი
12. დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება
13. აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება
14. აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს:
სხვადასხვა სფეროების: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებო დაწესებულებებში: უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად; შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; დაბინძურების ინსპექტორად; ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის ოფიცერად; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად; გარემოს დაცვის მრჩეველად; შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად; ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად; ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად; დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად; უსაფრთხოების დაცვის სპაციალისტად/ მენეჯერად; შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სახელმწიფოს შრომის ინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

საექთნო საქმე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანის მომზადება.

პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი; სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 32 სასწავლო თვე.
იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის მოცულობა: 210 კრედიტი
სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 38 სასწავლო თვე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ HIGHER VOCATIONAL QUALIFICATION IN NURSING.“

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

•შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
•განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
•განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
•განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
•განახორციელოს კრიტიკულმდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
•განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
•განახორციელოსსამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
•განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
•განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლისმომსახურების გაწევა;
•განახორციელოსდა უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
•დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლისხარისხის შეფასება;
•დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.
•შეამოწმოს წესები.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს: ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო ჩარევას

ფარმაცია (სააფთიაქო)

პროგრამის მიზანია პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების-განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირეშეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას

პროგრამის მოცულობა: 123 კრედიტი;
სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 22 სასწავლო თვე.
იმპირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის მოცულობა: 153 კრედიტი სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 28 სასწავლო თვე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში /Higher Vocational Qualification in Pharmacy".

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- **შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;**
- **დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა; შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა; განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე; ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი; განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება-მარკირება;**
- **მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები;**
- **გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული**
- **ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;**
- **განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის**
- **შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ; განახორციელოსურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;**
- **განახორციელოს ანგარიშის მომზადება-ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;**
- **დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს:
ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში,
სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო დაფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

აღმზრდელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამის მოცულობა: 116 კრედიტი; სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე.

იმპირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის მოცულობა: 146 კრედიტი სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 26 სასწავლო თვე

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:,,უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში / Higher Vocational Qualification in Preschool Education.”

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს:აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

აღმზრდელი



საფინანსო სერვისები



უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალს, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.

პროგრამის მოცულობა: 52 კრედიტი; სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 9.5 სასწავლო თვე.
იმპირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის მოცულობა: 67 კრედიტი სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 13.5 სასწავლო თვე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება; ასაკი 17 წელი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
2. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
3. განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
4. შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
5. ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.



ინფორმაციის ტექნოლოგია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ინფორმაციის ტექნოლოგიები სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის - პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს აპარატურული უზრუნველყოფასა და ოპერაციული სისტემების დაყენებას, განახლებას, დაზიანებების აღმოფხვრას, ოპტიმიზაციას, დიაგნოსტირებასა და მომსახურებას; ექნება სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.



პროგრამის მოცულობა: 61 კრედიტი; სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 11 სასწავლო თვე.
იმპირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის მოცულობა: 76 კრედიტი სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 14 სასწავლო თვე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
სრული ზოგადი განათლება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:,,საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support”

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1.ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2.დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3.დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4.დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5.უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6.განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7.გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8.გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9.შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10.მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს:ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიცი¬პალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ)და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

კოლეჯი ზრუნავს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნაზე. შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსები, სველი წერტილები და სასწავლო სივრცეები ადაპტირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო პროცესის მიდგომებისა და რესურსების ინდივიდუალური ადაპტირება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებას და მათ სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროფესიული ორიენტაცია და კარიერული განვითარება

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტთა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ განვითარებას. დაინტერესებულ და წარმატებულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ კარიერული განვითარების მიმართულების ტრენინგებსა და პროექტებში, რაც ზრდის მათ დასაქმების შანსებს და აძლიერებს პროფესიულ უნარებს.

დაცვა და უსაფრთხოება

კოლეჯის კამპუსის მთელ ტერიტორიაზე დამონტაჟებულია თანამედროვე სამეთვალყურეო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგსა და უსაფრთხოებას. დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით. ადმინისტრაციულ პერსონალს გავლილი აქვს გადაუდებელი დახმარების ტრენინგი, ხოლო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი სისტემატურად ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგსა და შეფასებას, რაც კოლეჯის სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს ქმნის.



საბიბლიოთეკო სერვისები

კოლეჯის ბიბლიოთეკა წარმოადგენს მრავალფეროვან საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც მოიცავს დარგობრივ და ზოგად სასწავლო რესურსებს, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ფორმატში. ბიბლიოთეკას აქვს კომფორტული სამკითხველო დარბაზი, სადაც სტუდენტებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ მშვიდ გარემოში მუშაობა და საჭირო მასალების გამოყენება. გაწევრიანება ბიბლიოთეკაში უფასოა და მისი სერვისებით სარგებლობა ხელმისაწვდომია კოლეჯის ყველა სტუდენტისა და თანამშრომლისთვის.

სამუშაო დღეები: ორშაბათი - შაბათი.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში - განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

დაინტერესებულ პირებს, აპლიკანტებს, პროფესიულ სტუდენტებს,მსმენელებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია და კონსულტაცია რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პრაქტიკის, შეფასების, საორგანიზაციო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.
კოლეჯი საჭიროების/მოთხოვნის შემთხვევაში გასცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას პროფესიული სტუდენტის სტატუსის, შეფასების შედეგების შესახებდა სხვ.

საჭიროების შემთხვევაში უნდა მიმართოთ:

- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს
- სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს

სტუდენტური ცხოვრება

გასართობი სივრცე პატარებისათვის



კოლეჯში ფუნქციონირებს საბავშვო სივრცე, სადაც ფერადი, კომფორტული გარემო, ილუსტირებული საბავშვო წიგნები, სახატავები, გასაფერადებლები და კიდევ ბევრი გასართობი.
როცა დედები დაკავებული არიან ბავშვებზე ზრუნავს საბავშვო სივრცის ადმინისტრატორი

საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47-49 /ბოჭორმის 8

0322560228 599952828 577909033

www.collegeimedi.edu.ge
www.imediprof.edu.ge.

collegeimedi@gmail.com
info@collegeimedi.edu.ge



სს იმედი ბანკი

შეუძლებელი არაფერია!

www.imedibank.ge